



ნათ. ამნაირად ჩიშალა მეორე ამხანა გობა... ამ გარემოებების შემდეგ, უ. რედკიტორო, მე, როგორც ერთი ძველთაგანი, ვახსენებ თქვენთან, რომ ჩემის მხრივ არაერთი საყვედური არა მაქვს ჩვენ ახალგაზდა კმაწვილებზე და ყოველგვარს იმას საყვედურს ჩვენზე საფუძვლიანად ვრაცხ.

სული კიდევ ის იქნება, რომ რადგანაც ამ თაყით ასე მოუხერხებელათ შიღის ჩვენში არტელით ყველის კეთების საქმე, ვი თუ ამ გარემოებამ დააშინოს ვინმე და აფიქრებინოს, რომ ამ საქმის მოხერხება ჩვენში შეუძლებელია.

**იქნება**

**მეთხველების ექიმობა იმერეთში**

მეთხველები ანუ მარჩიელები, როგორც აქ ეძახიან ზოგიერთები, და მათი კულიანობა თითქმის ყოველ გაუწათლებელ ქვეყნებში გამრავლებული არის. მაგრამ ისინი არსად არ მინახავს ისე კარგ პატივ-ცემად, როგორც იმერეთში. მე აგვიწერთ ამ მხრით ერთს პატარა იმერეთის სოფელს, ნ—ას, და რასაც ამ სოფელზე ვიტყვი, შეიძლება ყველა იმერეთის სოფლებზე ითქვას.

თუმცა მღვდელი და სხვა ნაწიელი პირები მოიძებნებიან ამ პატარა სოფელში ერთი ათორდე, მაგრამ ესენი სხვაზედ ნაკლებად არ ერწმუნებიან მეთხველებსა. საწყლები, ამ სწავლულების მატყობელნი, გლეხები უფრო ტყუილებიან და ზარალში ჩადიან. როგორც მღვდელი, ისეთიც ვიცი, ნათქვამია, აი ამ ნაირად არის საწყალი, გაუწათლებელი და უგუნური გლეხების საქმე; რასაც მღვდლები, და წერა-კითხვის მცოდნე კაცები მაგალითს უჩვენებენ და რასაკვირვებია ჩადიან, ისე იქცევიან გლეხებიც. თითქმის არ არის ამ სოფელში ერთი იმისთანა კაცი, რომელიც არ ერწმუნებოდეს მეთხველებს და თუ მეტჯერ არა, ხუთჯერ-ექვსჯერ არ მოტყუებულ იყოს მათგან. ამისათვის აქ მარჩიელები დიდ პატივცემად არიან. ვახსენებ თუ არა ვინმე ავად, მაშინათვე ცხენს მიაჩვენებენ იმას და ისე მოიყვანენ ავადმყოფთან, რომელსაც ჯერ მახვას გაუშინჯავს და მერე თავის ქნევით ეშმაკურად იტყვის: «ძალიან კარგ დროს კი

მოიყვანეთ; მაგან თუ ახლავე წამალი არ მიილა, მერე ტყუილად ნულარ შრომობთ.» ავადმყოფის პატრონი მაშინათვე ვაქრობას დაუწყებს ექიმს და ოცი მანეთი რომ სთხოვას, უნდა მისცეს. ექიმი ჯიბეში ჩაიდებს ფულებს, ორ-სამ სტაქან სამკურნალო წამალს გაუკეთებს; რალაცა ლოცვას წაიბუტბუტებს და სახლისკენ გასწევს. მეორე და მესამე დღეაც ამ ნაირად უწამლებს; ავადმყოფის მორჩენა კი ღმერთზედა ჰკიდია!

ამისთანა მატყუარა მარჩიელები მე ოცამდე ვიცი; მათ შორის ყველაზე უფრო შესანიშნავი არიან ორი ბებრუხანაები, რომლებსაც, ხალხის ფიქრით, რაც უნდა ავადმყოფი იყოს, მოურჩენელი არ გადაურჩებათ. თუ გინდათ რომ ამათ აკითხვიანო, უნდა მიუტანოთ ერთი დოქი ლენო, ერთი ქათამი და ხელფასი არა ნაკლებ სამი აბაზისა. როცა მიიღებს მიტანილ ძღვენს, გამოგითხავს—რისთვის მისულხარა და შემდეგ დაიწყებს რჩევას: მოიტანს ლობიოს მარცვლებს; ჯერ დაიწყებს რალაცა ლოცვას, შემდეგ მალა აურის მარცვლებს, დააჩერდება მიწაზე, თითქო რალაცას ჰკითხულობდეს—და მოყვება რასაც მოახერხებს. თუ რაიმე დაკარგის თაობაზედ არჩევიანო, მაშინ იტყვის, რომ ის ნივთი აქვს ისევ შენს სახლში მყოფსაო, რომელსაც დაუხედავენ და თუ რამე, დაკარგულის მზგავსი, უნახეს, წაართმევენ; თუ ავადმყოფისთვის არჩევიანო, მაშინ ან იტყვის წყლიდამ ამოყოლია რალაცაო და ან დაუწყევლია ვილაცასაო. თუ გინდა რომ მორჩეს, ერთი ცხვარი და ერთი გოჭი დაუყალი, მღვდელს აწირევენ და მორჩებაო. იქნება ამისათვის უფრო უყვარს მარჩიელები ზოგიერთ მღვდლებსა? თუ მორჩა ავადმყოფი, ხომ კარგი, თუ არა და ისევ მიზიან ექიმთან, რომელიც ეტყვის: «რას მომიცემ, მე რომ მოვარჩინო ის ავადმყოფიო?» აქ წამალში სამი ან ოთხი მანეთი მინც დაეხარჯება, ცხვარი და ღორი უკანასკნელი სამი მანეთი მინც უღირდა; ეს ექვსი-შვიდი მანეთი, დროს გარდა, ტყუილა უბრალოთ დაეკარგება და ავადმყოფს კი, რასაკვირველია, არარას არგებს...

როგორც ზევით ვთქვი, სოფ. ნ—ას არ არის ერთი იმისთანა კაცი, რომელიც არ

ერწმუნებოდეს მეთხველებს; განსაკუთრებით—სამი-ოთხი კაცია, რომლებიც ისე უყვარებენ და იმნაირად უყვარსთ მარჩიელები, რომ თუ ვინმემ გააჯავრა ისინი, ესთქვათ ან ფული არ მისცა და საჩიველად გაგზავნა, ან სხვა რაიმე, მაშინ ესენი გამოიღებენ თავს და მარჩიელებს მაინც გამართლებენ: «ავადმყოფი თუ არ მორჩა, ეს ღეთის ნება არისო, იტყვიან; მაგ ხომ თავის შრომას ვერ დაკარგავს?! თუ არ გინდოდა მაგისი წამალი, რალათ მოიყვანე პირველად; მაგის მეტი ავადმყოფისთვის არ უწამლებია მაგას, თუ როგორ გვგანიაო?» ამ ნაირად დასტუქსამენ საწყალს გლეხებს ეს მარჩიელების ადვოკატები და ფულებს მიაციმინებენ ექიმისათვის, რომელიც ცოტას თავის შემწევსაც არგებს. სადაც უნდა მოხდეს ეს საქმე, იქ გაჩნდებიან სამი-ოთხი კაცი.

მე ერთხელ სოფელში ვიყავი; მახსოვს მარჩიეობის თვე იყო. სადილის შემდეგ, მინდორში დაწვევი და ისე დამძინებოდა, რომ დღამდამდღი არ გამიგიაო. შუა ძილში რო ვიყავი, რალაცასაგან შემინებულმა ცხენმა ისე ახლოს ჩამიჩინა გვერდით, რომ კინაღამ თავზე დამეცა; მომესმა ყურში თუ არა ცხენის ფეხების ხმა, მე შემინებულნი წამოვხტი და სახლისკენ გავიქეცი. თურმე ჩემ ძილის დროს ცოტა წვიმა მოსულიყო; დამიღდა ფეხი დასველებულ ბალახზე და ისეთი დავეცი, რომ ძლიეს წამოვდექი და სახლში მივედი. მეორე დღეს ავად გავხდი და მთელი დღე არა მიჰმარია და არც კაცს დავლაპარაკებიაო. გათენდა თუ არა, მაშინათვე ცხენით გაგზავნეს კაცი ერთ სახელგანთქმულ მარჩილთან. მე ვიცოდი კარგათ, რომ ის ვერ მომარჩენდა, მაგრამ მაინც არ ვერწინადმდეგ მის მოყვანას, რადგანაც მსურდა გამომეცადა იმათი ექიმობაც. შემოვიდა თუ არა ჩვენს ეზოში, მე მაშინათვე დაეწვევი. ცოტა ხანს შემდეგ ერთმა დამქანარმა დედაბერმა შემოალო ჩემი ოთახის კარები, მოვიდა ჩემთან, მახა გამისინჯა, ენა გამომაწვეინა და მერმე მკითხა:

—რაი გტკივა, ბებია?  
—გერა გერძობა, რა მტკივა და, თუ შეიძლება, მარჩიელი თქვენა ბრძანდებით, მითხარით, რითა ვარ ავად? ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო იმან ლაპარაკი:

—ავი ბოვში ავითან ძანდილი, მარცხნუ გეშინია, ამისთანა ავადმყოფობა, ცრურ ნაბრე წამალი მაქ, იგი მოუხდება ძანაილს.

—რით ვარ ავად, თუ შემატყუე? ვკითხე მე.

—ამ ბოვს (მომიკიდა მაჯაზედ ხელი) წყალზედ უბანია და უტყუარი ამოყოლია, ახლევე წამალს გაუკეთე, მარამ რამდონს მომართვე მაგის მორჩენაზე?

—ოღონ კი მომარჩინე და ფული რამდენიც გინდა, მიიღებ, უთხარი მე.

—გოგვიელის ბოვში რო მოვარჩინე, ერთ ლაგინე (პატარა დოქი) წამალში ათი აბაზი ვეღვე. ღმერთმა მამა თქვენი აცხონა, კი პატივს შეცმდა და ტყულათეც რომ გავიკეთო წამალი, არ ღემეკარგება თქვენზე, მარამ მუშიათ მაქ ნაყიდი ავი წამალი.

—ოღონდ მომარჩინე, ხმა მალა უთხარი მე, და ორ მანეთზე მეტიც წაიღე.

ჯერე პეტრე ლოცვა მოგიხტება, მერეთ წამალს დაგიტოვეფ გაკეთებულს. დაიწყო ტუჩების ცმაკური და რას ამბობდა, ვერ გაიგე. ეს ერთი ლოცვა კი ღიდის ხეწნით წარმოვათქმეინე მალა:

• მოვიღოდა შავი კაცი შავ ცხენზე შავი გბაჯბანი, შავი ღაგამი—უნაგირათ, შავი ჩხხით და ვახახხით შეიჭინოდა, აღტენდა კბილებს. შვიკა წმინდა თავარ ახგლოში კენტე და მოტიქულები რთქელი, ხაშთაელი, ჩახაქელი, ხაშს სამოცდა ხუთი წმინდა გიორგიმ შეგვიანა იმ კაცს: ხა მახვალა, შენ შავ კბილებანი, შავ ცხენზე შავი ტანისაშოსითა?—მივდავარა კობლის ახტირებათა, ხეუღის შესწაწაქებათა, მდიდარის დასადასხუებათა, ქალის რძის წასახთენულათა!

—კურ წახვალა, უკან დაბრუნდი მალაო, შავი კატო შავ კბილებანიო, თვარა დაგწავ, შავი დანით დაგჯავო შავ წვალში ჩაგაგდეფო. წვიკა შავი კაცი, შავ კბილებანი, კვლარ გახვდა კატის შეწუხება. დემათო, ესე დეისხენი ავი ბოვში ამ უმეჭრისაგანს!

ეს ლოცვა ისე ჩქარა წაიბუტბუტა, რომ სანამ სამჯერ არ ვათქმეინე, ვერა გავიგვრა. რამდენი ამისთანაები ილაპარაკა, მაგრამ მე ვერც ამ ლოცვის თქვაში მოვიკავე სიცილი, საბანი დავიხურე პირზედ და მეორე გვერდზედ გადაბრუნდი. ლოცვის შემდეგ მოიტანა გემბრის და აწლის ძირი, თუთის და ვაშლის ტყეფი, იას ფოთოლი, ჯამზედ და

ლიც, თითქო რომლისსამე მანქანების ძალით, არათუ განკერძობულ პირებსა, ხანდისხან მთელ ქალაქებსაც ხან მალა ასწევს და ხან დაბლა დასწევს... მაგრამ სჯობს, ამ ფილოსოფიურ უნაძყოფო ოცნებებს თავი დაეხეობოთ და ისევ ჩვენ მოგზაურობის აწერას შეუდგნეთ.

სწორეთ თერთმეტი საათის ნახევარი იყო, როდესაც პატარა წილის კრეცლის გემმა წავიყვანა ჩვენ ქალაქიდან და ფოთის რკინის გზის სტანციასთან მიგვავენა. იმ წამსვე ავიღეთ ბილეთი და შევედით ვაგონში. წასვლამდი ნახევარი საათი იყო კიდევ. გავლე ვაგონის ფანჯარა და უყურებდი—როგორ დაფატურობდა და ბილეთების აღებას ვმურებოდა ხალხი. მართალი უნდა ვთქვა, რომ ვერც ბილეთების დაჩივებაში და ვერც ბაგაჟის მიღებაში ვერაფერ თავდაზრცესა და სისწრაფეს ვერ იჩენს ჩვენი რკინის გზის აღმონისტრატია. ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ მიცვივკასასთან და სასწორთან და ზოგი მთელ საათს მოვლის ბილეთის მიღებას, ან თავის ბარგის აწონას და ზოგს კი იმუშავებ ისტუმრებენ. ეს კიდევ არაფერი: ფოთის სტანციაზე მე ისეთი სურათი ენახე, რომელიც მართლა რომ გასაკვირველია: ორასიოდე ქაბის

სალოცავიდან დაბრუნებული ლეკები იყვნენ აქ და რკინის გზით წამოავლას აპირებდნენ დაღესტანში. თითქმის ყველას ავლოთ მესამე კლასის ბაღეთები. მაგრამ როდესაც ვაგონებში ჩაჯდომა დაპირეს, კონდუქტორები არ უშვებდნენ: ბევრი ბარგი გაქეთ თან, არ შეიძლებაო! საწყალი ლეკები ჰყვიროდნენ, ეხვეწებოდნენ, ზეცისკენ იყურებოდნენ, მაგრამ არაფერი არ გაუვიდათ; ერთ კონდუქტორს რომ როგორმე დაალობდნენ და ის გაუშვებდა, მეორე საყელოში მოჰკიდებდა რომელსამე ღობუცებულ ლეკს ხელსა და თავის ბარგანათ პლატფორმას იქით გადასროდა. ამნაირ... ვი-ვაგონებში გაატარეს იმათ ნახევარი საათი, სანამ ვაგონები არ დაიძრა და მაშინამ პირლი და გულ-მოკლულები არ დასტოვა ისინი ფოთში, თავიანთი ბილეთებით. ამნაირათ ასიოდე იმათგანი დარჩა ისევ ფოთში. საცოდაობა იყო იმათი დანახვა, როდესაც მაშინა დაიძრა და წასვლის იმედი დაეკარგათ. ვინ იცის—რამდენი ხანია არ უნახავო იმათ თავის საყვარელი ცოლ-შვილი და მიწა-წყალი და როგორის ალტაცებით და სიჩქარით მოელოდნენ იმათ ნახვასა!

საზოგადოთ ჩვენს რკინის გზაზე უნდა ვთქვა, რომ ყველაფრათ კარგათ არის გამარ-

თული, მაგრამ ერთი ნაკლოვანება აქვს—ნელა დადის ყვირილის სტანციიდან ქუთაისის სტანციამდე, რკინის გზით, 28 ვერსი ითვლება და ამ გზის გავლას ჩვენ ერთ საათსა და თხუთხეტე მინუტს მოუწლით. აგრეთვე ქუთაისითგან ფოთამდე 35 ვერსი ითვლება და ეს მანძილი ჩვენ რკინის გზით ოთხ საათ ნახევარს გავიარეთ. ამნაირათ, ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი ახალი რკინის გზით საათში, საშუალო რიცხვით, 20—25 ვერსამდე გავლა შეიძლება, და ეს სრულებით ისეთი სიჩქარე არ არის, როგორც საზოგადოთ რკინის გზებს შეეჭურის. ჩვენ არ მოვიყვანთ მაგალითად ამერიკისა და ინგლისის რკინის გზებს, რომელნიც გასაოცარის სიჩქარით დადიან; საკმაოა ესთქვათ, რომ რუსეთშიაც ვერ ნახეთ თითქმის ვერცერთ რკინის გზას, რომელიც საათში, საშუალო რიცხვით, 35—45 ვერსს მაინც არ გადიოდეს.

ვითარცა უბრალო მოგზაურმა, მე მხოლოთ ეს ორი ნაკლოვანება შევიჩინე ჩვენ რკინის გზას: სტანციებზე უთაობა და ნელა სიარული. რაიცა შეეხება ვაგონებს, მართლა რომ ძალიან კარგათ და მოხერხებულათ არიან მოწყობილნი, ასე რომ ჩვენი მეორე კლასის ვაგონები თითქმის სჯობია რუსეთის გზების პირველ კლასის ვაგონებსა.

როდესაც ხალხს არ ესმის რომლისსამე მოვლენისა და საგნის ნამდვილი ვითარება, მაშინ ის თავიებურათ სცილილბს იმათ ახსნას. ამ რკინის გზის თაობაზე ჩვენი უბრალო ხალხი ვინ იცის რას ლაპარაკობს. ზოგი ამბობს, რალაც მანე სული ზის ამ მაშინაში და ის ხელებით ავარებს გორგოლაებსო; ზოგი ამბობს, ანგლიჩნებს გველვშაში ჰყავთ დაქერილიო, დაუმწყვედევიათ წინა ოთახში და იმას მიჰყავსო, და როცა საქმე გაუჭირდება, წივილს და ყვირილს მოუხშირებსო; და ზოგი ვინ იცის, როგორ ხსნის რკინის გზის მოძრაობას!

პირველში რკინის გზისაგან ბევრი უბედურება ხდებოდა თურმე; იმის მუშაობის დროს ხუთიოდე მუშა მომკვდარა. მაგრამ განსაკუთრებით ბევრი ზიანი მიუტია პირუტყვებისთვის: ცხენები, დაინახავენ თუ არა ვაგონებს, აიწვევენ კულებს და რაც შეუძლიანთ გარბიან მინდერებში; ხარებსა და კამბენბსა კი ახლო დაუსწავლიათ კეკა, თორემ აღრე გაჩერდებოდნენ თურმე პირ-და-პირ რელსებზე და ცნობის-მოყვარეობის თვალებით შესცქეროდნენ—ეს რა მოგორავს და

ნაყა, წყალში ამოაგლო, წყალი გათბო, ცოტა ლილა და შაბი გაურთა და ესე შეზა-  
გებული წამალი თითქმის ძალათი დამალე-  
ვინეს მთელი სტაქანი. მაშინათვე, უკაცრავად  
ამ სიტყვაზე, პირიდან მასაქმებინა და კინა-  
დამ საიქიოს არ წაყვდი; მაგრამ ექიმმა კი სი-  
ნარულით სთქვა: «ახლა მოჩა ავი ბოვში  
სტარეთ, ეშმაკი ამოვაგდებინე პირიდან!»  
როგორც იქნა, ღვთის შეწევნით, გადაურჩი-  
ამ საწამლავს. მეორე და მესამე დღისთვისაც  
ამ ნაირად გაკეთებული წამალი დამიტოვა;  
მაგრამ მე ჩემთან ექიცივდი იმას და ამ ნაი-  
რად ვაქყუებდი ორ დღეს ექიმს. მესამე  
დღეს მოვიდა და ცოტა ლოცვა კიდევ წამი-  
კითხა, მაგრამ სად არის მოჩინება? ვაგიდა რვა  
დღე ვერ მომარჩინა ვერც ერთმა მარჩიელმა.  
ამის შემდეგ ექიმები სიხლოვესაც აღარ მი-  
ვიკარე და რვა დღეს კიდევ ვიყავი ავთ, მე-  
რე კი ჩემით მოვიჩი. ვაგიდეს თუ არა ჩემი  
კარგათ ყოფნა, ექიმები მოვიდნენ და ფულე-  
ბის თხოვა დამიწყეს; მე არ მიხდოდა ფული  
მიმეცა, მაგრამ მოვიდა ერთი მღვდელი და  
ორი სხვა ექიმების ადოკატი და დამიწყეს  
ხეწნა: «ცოტა რამე მანც აიუქე, სირსხვი-  
ლია; თუ არ გინდოდა მისი წამალი, რას-  
თვის მოიყვანე პირველად?» მე მივეცი ორ-  
ორი მანეთი თითოასა და გაუშვი.  
აი ამ ნაირად ატყუებენ და აღარბებენ  
მარჩიელები და სოფლის ექიმები სოფლის  
მცხოვრებლებსა!

1872 წ. აპრილის 20-ს.  
ქუთაისი

### რუსეთი

რუსულ გაზეთებში ახლაც ბევრს სწერენ  
იმ ა რ ე უ ლ ბ ა ზ ე, რომელიც აღდგომის  
მფორე და მესამე დღეს მომხდარა ხარკოვ-  
ში. ამ საქმის თაობაზე ახლა გამოიძიება და-  
ნიშნული და მთავრობამ ღენერალ-ლეიტენ-  
ანტი შეზენცოვი გაგზავნა ხარკოვში. გაზე-  
თების კორრესპონდენტებიდან და თვით იმ  
ქალაქიდანაც, რომელიც ხარკოვის ლებერ-  
ნატორს გაუგზავნია მთავრობისათვის, ცხა-  
დათ სჩანს, რომ ამ არეულობას არავითარი  
პოლიტიკური მნიშვნელობა არა ჰქონია;  
ხალხი დიდი ხანია არ ემადლურებოდა თურ-

მე ხარკოვის პოლიციას და ახლა ერთი პრის-  
ტაის ცულათ მოპყრობას მიუტია ხალხისა-  
თვის მიზეზი ამ უკმაყოფილების გამოცხადე-  
ბისა. თვით «მმათებლობის მოამბეში» სწე-  
რენ, რომ ამ არეულობის მიზეზი პოლიციის  
პრისტაი, შმელევი, იყო, რომელმანც თა-  
ვის სასტიკი და უკანონო მოქმედებით მო-  
მინებლად გამოიყენა ხალხი და ბევრი უწე-  
სივება მოახდენინაო. ეს პრისტაი დაუთხო-  
ვინათ სამსახურიდან და, გათავდება თუ არა  
გამოიძიება, იმწამვე სამართალში მისცემნო.  
მოკლულებისა და მძიმედ დაჭრილების რიც-  
ხვი, «მმართველობის მოამბის» ანგარიშით,  
33 კაცია. ამას გარდა ჯერ ჯერობით არე-  
ულობის მახდენისათვის 84 კაცია თურმე  
დაჭერილი.

შარშან ვაქრობეთ ჩვენ მკითხველებს, რომ  
ერთმა მდიდარმა ვაჭარმა, უფ. ლიპინმა,  
ააშენა მოსკოვში ცალკე სახლი ღ ა რ ი ბ ი  
ს ტ უ დ ე ნ ტ ე ბ ი ს ა თ ე ი ს. ერთს რუსულს  
გაზეთში აწერილია ახლა ამ სახლის გამარ-  
თულობა:

ეს სასტუდენტო სახლი სამ ეტაჟიანია;  
მთელს შენობაში 30 სადგომი ოთახია და  
თითო ოთახში თავის მებელი და ყველაფე-  
რი მოწყობილობა უფ. ლიპინის ხარჯით  
არის გამართული; აგრეთვე ქვეშაგები და  
მოსამსახურეები. ჩინათვის და ბიბლიოთეკათ  
ცალკე ოთახია; თითო სტაქანი ჩაი თითო  
კაიეკათ ღირს; ბიბლიოთეკაში სხვა და სხვა  
გაზეთები და ჟურნალებია, რომელსაც სტუ-  
დენტები მუქთად ჰკითხულობენ. ამ სახლში  
ამჟამად 100 ღარიბი სტუდენტი დგას თურ-  
მე მომეტებული ნაწილი უნივერსიტეტისა და  
ზოგი პეტროვსკის სამეურნეო აკადემიისა.  
ვისაც ამ სახლში დადგომა ჰსურს, თავის უ-  
ნივერსიტეტის სუბ-ინსპექტორებს უნდა გა-  
ნუცხადოს ეს სურვილი და თუ ადგილი არის,  
ისინი მიიღებენ. ამჟამად, რომ სტუდენტები  
ძალიან კმაყოფილნი და მადლიერნი არიან  
უფ. ლიპინისა და არაფერ შევიწროებას  
არ გრძობენ ამ სახლში დგომითაო. იქ მდგმუ-  
რებმა მხოლოდ სამი პირობა უნდა ასარუ-  
ლონ: მომეტებული ღვინო არა სვას, ქალა-  
ლი არ ითამაშოს და ქალები არ შემოიყვა-  
ნოს თავის ოთახში. ეს ისეთი პირობებია,

რომლის ასრულება ღარიბი სტუდენტებისა-  
თვის, რასაკვირველია, დიდს შევიწროებას არ  
შეადგენს და ამიტომ ისინი დიდს სიამო-  
ნებით დგებიან ამ სახლში, თუ კი თავისუ-  
ფალი ოთახი იმოყვს.

მმართველობის მოამბეში დაბეჭდილია,  
რომ ზოგიერთ რუსეთის სამხრეთის გუბერ-  
ნიებში ხოლოცა გამოჩენილა. სხვათა შო-  
რის რამდენიმე კაცი გამხდარან ხოლოცით  
ავათ კიევის, პოდოლის და ხარსონის გუბერ-  
ნიებში. კიევის გუბერნიაში წარსული მარ-  
ტის განმავლობაში სულ თერთმეტი კაცი გამ-  
ხდარა ხოლოცით ავთა და ამ რიცხვი 7  
მომკვდარა; პოდოლის გუბერნიაში სულ  
96 კაცი და ქალი ყოფილა ავთ და ამ რიც-  
ხვიდან 40 მეტი მომკვდარა; ელიზავეტგრად-  
ში მხოლოდ ერთი ვიღაც ვაჭარი მომკვდა-  
რა ნამდვილი ხოლოცითა.

უტყველია, რომ შემდეგში თან-და-თან გა-  
ძლიერდება და გავრცელდება ხოლოცა და  
თუ ახლაც თავდარიგი არ დაეიჭირეთ და  
სიფრთხილით არ მოუპარეთ თავს, შეიძლება  
ჩვენც გვეწვიოს ეს არა სისამოვენო სტუმარი.

### უცხო ქვეყნები

#### საფრანგეთი

პარიისა და საზოგადოთ საფრანგეთის  
ყურადღება ამჟამად მიქცეულია ბაზენზე, რომე-  
ლიც როგორც იყო მისცეს სამართალ-  
ში. იმ კომისიამ, რომელიც უკანასკნე-  
ლი ომიანობის დროს კაპიტულაციების საქ-  
მეს იხილავს, ცხადთ დაამტკიცა, რომ მარ-  
შალმა ბაზენმა აშკარათ უღალატა საფრან-  
გეთს და ისეთს დროს დაუთმო ნემცენს  
მეცის სიმამრე და ჩაუგდო იმთ ტყვეთ უკანას-  
კნელი არმია საფრანგეთისა—150,000 კაცი—  
როდესაც კიდევ შეეძლო გამაგრებულიყო და  
წინააღმდეგობა გაეწია მტრისათვის. გამოიძი-  
ებლად ცხადთ აღმოჩნდა ბაზენის განზრახვა:  
იმას უნდოდა, სხვა საფრანგეთის ჯარები და-  
ემარცხებოთ ნემცენს, რომ მართა იმას დარ-  
ჩენოდა ჯარი, რომლის შემწეობითაც ის მო-  
ახერხებდა ან ისევ ნაპოლეონის დინასტიის  
დამკვიდრებას საფრანგეთში და ან თვითონ

გახდებოდა რეგენტათ. გამოიძიებლად სჩანს,  
რომ ბაზენს შეეძლო ადრე გამოსწორებული მე-  
ცის სიმამრე და მაკ-მაჰონის ჯართან შე-  
ერთებულიყო, მაგრამ იმავე ბოროტ განზრ-  
ხვით არ მოახდინა ეს. მეციდამ იმას ჰქონდა  
ერთის მხრით დატუსაღებულ ნაპოლეონთან  
და მეორეს მხრით ბისმარკთან რაღაც საი-  
ღუმლო მოლაპარაკება, უთუოთ ჯარისა და  
მეცის დათმობის თაობაზე. ერთის სიტყვით,  
ყველა იმის მაშინდელი მოქმედებლად ცხა-  
დათ სჩანს, რომ რესპუბლიკის დაღუპვა და  
იმპერიის აღდგენა უნდოდა და ამისათვის  
მთელს საფრანგეთსაც არ ჰზოგავდა.

ამის შემდეგ ადვილათ წარმოსადგენია—  
როგორ გაუხარდა ყველა ნამდვილ ფრანკუ-  
ზებს, როდესაც ბაზენი სამართალში მისცეს  
და ყველა იმის ბოროტ-მოქმედებას გამოაშ-  
კარებენ.

ამას გარდა საფრანგეთში ბევრს ლაპარა-  
კობენ ამჟამად იმ წერილზე, რომელიც ზო-  
გიერთ რესპუბლიკურ გაზეთებშია დაბეჭდი-  
ლი და რომელიც შეუდგენიათ პარიის ლი-  
ტერატორებს, დეპუტატებს, სახლის პატრო-  
ნებსა და ზოგიერთ ვაჭრებს. ამ წერილში  
ესენი მიმართავენ ახლანდელი ნაციონალუ-  
რი კრების წევრებს და ურჩევენ, რომ თეი-  
თონვე დაანებონ თავი სამსახურს, აი ეს წე-  
რილი (პეტრია):

«უფ. დეპუტატებო! თქვენ მოგანდო ხალხმა  
მხოლოდ ომიანობის და მშვიდობიანობის საქმის  
გადაწყვეტა. თქვენ მოუჩივდით მტრს, რომე-  
ლდ დაწმუნებულა, რომ თავის გამარჯვებისა-  
თვის შესაფერ ჯალდოს მიიღებს. მაშასადამე  
გაგითავებთ თქვენი მოგაგება. დასებთ თავი  
დეპუტატობას. თუ დირსეულათ დავინახვთ ხალ-  
ხი, სელასავ ამოგარჩევენ. თქვენ ვერაფერს ვერ  
გაკეთებთ, თქვენ ვერ დაამკვიდრებთ საფრანგეთ-  
ში ისეთს მმართველას, როგორც ეს უნდა.  
მამულის ხარკებლად, თქვენი თავის თავ-მოყა-  
რება—ერთი სიტყვით, ყველაფერი მოითხოვს,  
რომ დაუთმოთ თქვენი ადგილი მეორე ხალხს,  
რომელსაც ხალხი ამოიჩივებს და რომელიც რეს-  
პუბლიკურ მმართველას დაამკვიდრებს საფრანგე-  
თში. გუშარჯოს რესპუბლიკის!»

ამ პეტრიას, რასაკვირველია, გაელენა ექ-  
ნება საფრანგეთის ხალხზე; მაგრამ ახლანდე-  
ლი ნაციონალური კრება, რომელიც მო-

მოწივისო; ეს ცნობის-მოყარება, რასა-  
კვირველია, იმათ ძირათ დაუჯდებოდა: და-  
ეტაკებოდათ მაშინა და შუაში გაჰყვეთადა.  
ახლა კი ხარკამბეჩი ლორები და განსაკუთ-  
რებით ცხენები, როგორც კი გააგონებენ  
მაშინის გრილს და წივილს, რაც ღონე  
ჰქვთ, უკან მოუხედავთ მიზიან და შორი-  
დამ კი შესცქერიან; უტყველია ამ დროს ჰფი-  
ქრობენ: ეს რა ახალი სულდგმული გაჩენი-  
ლა ჩვენს დედა-მამაზე?...»

ერთი ანექლოტიური ამბავი მიანბნეს ამ  
რკინის გზის თაობაზე ერთხელ მაშინა წა-  
მოეწია თურმე ერთ გურულს, რომელიც  
ფოთში მიდიოდა. გურული შეჩერდა ზედ  
რელსების ნაპირას და როცა მაშინამ ჩამოი-  
არა, მაშინისტს დაუძახა:

— ეი, შენ, ძმობილო, წამიყვანე, თუ  
ღმერთი გწამს!  
მაშინისტმა, რასაკვირველია, ხმა არ გასცა.  
გურულმა კიდევ მიძახა:  
— წამიყვანე, შე ყაზილარო, ფარებს მოგ-  
ცემ!  
მაშინამ გასწია თავისთვის. გურული გა-  
ხერდა, უყურა, უყურა, ბოლოსდაბოლოს ულ-  
ვაშებზე ხელი და მიძახა:  
— ეი კილა, რა ყოფილა ავი! რაც

შენ მაგითი რამე მოიგო, ეს ულაშები მო-  
მარცე, აჰ!

იმ მშენიერ ტყეებს, რომელთაც იანეთი-  
სა და ქოჩაქიძეების ტყეებს ეძახიან და რომ-  
ელთაც რკინის გზა ზედ შუაში ჰსჭრის,  
ერთს დროს უტყველია დიდი მნიშვნელობა  
ექნებოდა. მაგრამ ესლავი, როგორც სხვა  
ბევრი ბუნებითი სიმდიდრე ესეც გამოუღე-  
ვარია ჯერ-ჯერობით. ერთს ალაგის რკი-  
ნის გზისაგან შეგუბებულა წყალი ქოჩა-  
ქიძეების ტყეში და დიდი მანძილი ტყე სრუ-  
ლიად გაუხშირა.

ქუთაისიდან გეგუთის სტანციამდე რკინის  
გზის რტოს მუშაობა ჯერ არ დაწყებულა და  
ამ რტოზე რაღაც ამ უკანასკნელ დროს აღა-  
რავერი აღარ ისმის, როგორც შევატყე,  
იმერლები დაწმუნებულნი არიან, რომ ეს  
რტო ვერ იზამს თვითონ ხაზის გაყვანის  
მაგიერობას და მაგდნათ ვერ დაეხმარება  
იმთ დედა-ქალაქის ამაღლებას.

სხვა იმედი და ნუგეში გასჩენათ იმერ-  
ლებსა. თითქმის კაცს ვერ ნახავთ ახლა რე-  
რეთში, რომ იმედი არა ჰქონდეს, ჩემს მა-

მულში, დღეს თუ ხვალ, ოქრო თუ არა,  
სპილენძი ან სხვა რამე მადენი მანც უთუ-  
ოთ ამოჩნდება და გავკეთდები კაციო! ჩემს იქ  
ყოფნაში რამდენიმე კაცი მოვიდა ჩემთან,  
რაღაც უბრალო ბყინაკი ქებობი მოიტანეს  
და მეუბნებოდნენ:—«დროებაში» იყო, ბა-  
ტონო, გამოცხადებული, ვიღაც ახალი სი-  
მონი (სიმონოვიჩი) ჩამოსულა, ქებებს შინ-  
ჯავსო და თუ შეიძლება, წაუღეთ და აჩე-  
ნეთო.

მართლაც გასაკვირველი და შესანიშნავია  
ეს მადნის მანია იმერეთში: თითქო დედა-  
მიწის ზეით აღარა ჰქონდესთრა ამათა თავის  
ცხოვრებისა და მდგომარეობის გაუმჯობე-  
სობის იმედი, შიგ მიწაში მიძებრიან და იქ ეძე-  
ბენ საშუალებას!.. აქაურებს რომ დაუგლოთ  
ყური, იმერეთში რა მადანი და ძვირფასი ქვა-  
გნებავთ, მოიპოვება: ვერცხლი, ტყვია, სპი-  
ლენძი, შაბი, ათასფერი მარმარილო, ქვის-  
ნახშირი და სხვა ძლიერ შესაძლებელია,  
რომ ყველა ეს მადნები როდისმე მართლაც  
მოიძებნოს იმერეთში, მაგრამ არა მგონია,  
რომ თვითონ იმერლებმა ამითი ბევრი ისარ-  
გებლონ... ამჟამად ნამდვილათ, რომ ტყი-  
ბულაში მეორე ქვის-ნახშირის მადანი ამო-  
უნჩინათო, რომელიც საეკლესიო გლეხების

ადგილში არისო, და რადგანაც საეკლესიო  
მამულები სახაზინო უწყებაში შეირიცხა, ამის  
გამო ეს მადანიც სახაზინო იქნებოდა. ზო-  
გიერთი პირობი ძალიან დაფაცურებდნენ, უნ-  
დათ ახლაც შეადგინონ კამპანია და ეს ახალი  
მადანი შეამუშაონ...

მე ვაგათავე მინდოდა მეტქვა კიდევ რამ-  
დენიმე სიტყვა იმერლების ნამდვილ ქართე-  
ლობაზე, იმათს ჩვენი ქართველი მწიგნობ-  
რობის სიყვარულზე, მაგრამ ეს ისეთი საგანია,  
რომელზედაც ჯერ-ჯერობით სჯობს, რომ  
სრულიად არა ესთქვათ რა. მინდოდა აგრეთვე  
მომეყვანა ზოგიერთი ამბები ჩვენი სახალხო  
შკოლების მდგომარეობაზე, ამბები, რომელ-  
ნიც ამტკიცებენ, თუ რა მდგომარეო-  
ბაში არის სახალხო განათლება საზოგადოთ  
იმერეთში და განსაკუთრებით შორაპნის უეს-  
დში, მაგრამ ამის თაობაზე «დროება» მო-  
კლევ დროში უფრო დაწერილეთ ამერას  
მოვლის ერთ თავის კორრესპონდენტისგან.

თფილისი, 1872 წ.  
მაისის 10.

მეტეული ნაწილი მონარხული დებუტატები არიან, ასე ადვილად არ დიუთომობს თავის ადგილს სხვა კრებასა. თუ სულ არ დაითხოვთ ახლანდელმა კრებამ თავის თავი, მაშინ ამბობენ, კრებაში კანონს შეიტანებენ, რომლის ძალითაც კრება ნაწილ ნაწილათ (მესამელობით) უნდა იქნეს დათხოვნილი და ყოველი შესამედის დათხოვნის შემდეგ, ახალი დებუტატები უნდა ამოირჩიოს ხალხმთა.

— მარცხენა მხრის (რესპუბლიკური პარტიის) 45 დებუტატმა მისწერა ამას წინეთ ტერის წიგნი. რომელშიაც ისინი თხოულობდნენ, რომ, სანამ ნაციონალური კრება განიხილავდეს ახალს კანონს სიკვდილით დასჯის თაობაზე, მანამ ნურაფის დასჯით სიკვდილითა და ნურც სამუდამოთ გაგზავნილი კენაშია. ამასვე ტერმა მისწერა იმათ, რომ ეს ჩემი საქმე არ არისო, მე მხოლოდ აღმასრულებელი უფლები ვარო; იმ კამისიას მითმართეთ, რომელიც ახლა ბრალდებულების საქმეს იხილავა. ამ კამისიამ თავის მხრით უპასუხა, რომ ეს საზოგადო კანონის დარღვევა იქნებოდა და ამის თაობაზე ნაციონალურ კრებას უნდა მიმართათო. ამისგანა ამბობენ, რომ ერთი ამ დებუტატთაგანი მალე შეიტანს კრებაში წინადადებას, რომ საფრანგეთში სამუდამოთ მოსაზობილი იქნეს სიკვდილით დასჯა ყოველგვარი დამნაშავეებისათვისო.

— მისის 4-ს დებუტატმა ოდიფრე-პაკიმ წარმოსთქვა სიტყვა ნაციონალურ კრებაში იმის თაობაზე — თუ როგორ ირჯებოდნენ და როგორ სცარცვადნენ ხაზინას ნაპოლეონის ხინოენიკები. ამ სიტყვაში უფ. ოდიფრე-პაკიმ მოიყვანა ვასაოცარი ფაქტები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ განსაკუთრებით უკანასკნელი ომიანობის დროს, როდესაც შვერი თოფები და სროლები იყო საქირო, მინსტრიდამ დაწესებული უკანასკნელ იჯარად რამდენ უმოწყალოთ სცარცვადნენ ხაზინას და ქრთამს იღებდნენ. ამისთანა ამბები, რასაკვირველია, უფრო მომატებულათ შეაძლებენ ხალხს ნაპოლეონსა და იმის დროულ წესებს.

— ელზასი დამ და ლოტარინგი დამ ძალიან ბევრი მცხოვრებლები გადადიან თურმე თავის ძველ სამშობლოში — საფრანგეთში; ასე რომ ამ დებარტამენტებდამ გადმოსახლებულებით სულ საესვა თურმე საფრანგეთის მოსამზღვრე ქალაქები. ისინი ჰყიდიან ყველაფერს, რაც გააჩნიათ და ესახლებიან საფრანგეთის ქალაქებში, რადგანაც ნემცები სძულთ და ვერ შეუთვისებიათ ახალი, იმათგან შემოდებული, წესები.

**ესპანია**

უცხო ქვეყნის გაზეთებში აწერილია — როგორ შემოპარულა ესპანიაში დონ-კარლოსი და როგორ დაუმარცხებიათ ის მმართველობის ჯარებს: მისის 1-ს, ლამე, პირინეის მთებდამ გადმოსულა ის და იქ დახვედრია 1,700 კაცი თავის მომხრეები. მეორე დღეს შესულა ერთს პატარა ქალაქში. იმავე დღეს ეს ამბავი გაუგია მმართველობის ჯარის უფროსს, რივეროს, და დასცემია ამ ქალაქს; მაგრამ ესპანის ტახტის პრეტენდენტი — დონ-კარლოსი — გაქცეულა აქედამ და სოფ. ურუ-კისტში გაჩერებულა. აქ დასწევია იმას მმართველობის ჯარით ლენერალი მორიონესი და დაუმარცხებია. ესპანის ოფიციალურს გაზეთებში სწერენ, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ 747 ინსურგენტი დავატყვევეთო და კარგა ძალი ხალხი მოკვლით და დაესჭერთო. დონ-კარ-

ლოსი ორასი კაცით გაქცეულა აქედამ და საფრანგეთის სამზღვარზე გადასულა. ზოგიერთ გაზეთებში სწერდნენ, რომ მმართველობის ჯარებმა დონ-კარლოსი დაიჭირეს და დახვედრეს; მაგრამ ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. მეორე ნაწილი ინსურგენტების ჯარებისა ალევრისთან დაუმარცხებიათ. — საზოგადოთ დონ-კარლოსის მომხრეები განსაზღვრული პლანით მოქმედებენ თურმე: ისინი ცხადათ ხედავენ, რომ თუ ერთს ალაგას სადმე შევებენ მმართველობის ჯარებს, უთუოთ დამარცხებულნი იქნებიან, რადგან იმოდენა ჯარი იმათ არ ეყოლებათ; და ამიტომ ასასობით და ორასობით იყოფიან და ისე არ ასვენებენ მმართველობის ჯარებს. მართლა ამნაირათ თუ მოიქცნენ კარლისტები, მაშინ ეს პარტიზანული ბრძოლა და არეულობა შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს, რადგან იქ ზოგან ისეთი შეუვალი და მაგარი ადგილებია, რომ რამდენიმე კაცი გაუმარცხდება დიდძალ ჯარსა.

სამხრეთის ესპანიაში, ხერესში, კადიქსში, სევილიაში და სხვა ქალაქებში, როგორც ამბობენ, რესპუბლიკელებიც ალევლებულან და ახლანდელ მმართველობაზე ცხადლ უკმაყოფილებას აცხადებენო. მაგრამ არც ერთი კეთილ-გონიერი რესპუბლიკელი არ ერევა ამ არეულობაში, რადგან, როგორც თვითონ ამბობენ, ჯერ არ არიან მმართველობასთან ბრძოლისათვის მომზადებულნი და არც უნდათ კარლისტებთან დაიჭირონ საქმე.

— მისის დამდევს ბარსელონაში დაუტყრიათ ბერი საეკეო პირები და სხვათა შორის რამდენიმე მღვდელი, რომელნიც აქვებდნენ თურმე ხალხს, რომ არეულობა მოახდინეთ და დონ კარლოსს მოეხმარეთო.

**ახალი სამართალი**

**მეორე სტატია (\*)**

(დაზოგადოებამ ამ სტატიაში)

უწინ, ახალი სამსჯავრო რეფორმის შემოდებამდინ, არსებობდენ კანონნი, რომელთა ძალისაგანა, პოლიციას როგორც მასხრისას ეგრეთვე სამოქალაქსას ჰქონდა სიმართლე მიელო თავის საწარმოებელად მცირე და განსაზღვრული ფასის საქმეები სადაო გინა მსაჯულებითის თვისებისანი. ამას გარდა, მის მოვალეობის წრეში შედიოდენ, სხვათა შორის, წარმოება გამოძიებათა სისხლის-სამართლის საქმეთა და მოყვანა აღსრულებამიდ ყოველ-გვარ მსაჯულებითი უფლებისაგან დადგინებულის განხინებისა; ასე რომ მაშინდელ პოლიციას ჰქონდა მსაჯულ-მმართველობითი ხასიათი. გუბერნიის სამმართველოში კვლად წარმოებდენ საქმენი მსაჯულებითის თვისებისანი. გუბერნატორთა ქონდათ დიდი გავლენა სისხლის სამართლის საქმეების წარმოებაზედ. ყოველი გამოძიება ამგვარი საქმისა წარიდგინებოდა პოლიციისაგან გუბერნატორთან, რომელსაც შეეძლო, შემდგომ მათი განხილვისა, დაებრუნებინა ის პოლიციისათვის თავის შენიშვნებითურთ შესავსებელად, თანამად იმა შენიშვნებთა. თვითიული გამოძიება გარდიცემებოდა სასამართლოშიდ განხინების შესადგენელად გინა გასასამართლებლად დამნაშავეთ ისევ გუბერნატორისა მიერ. კვლად თვითიული განხინება თხოულობდა გუბერნატორისაგან დამტკიცებას მას შეეძლო არ დათანხმებულყო განხინებას; ამ შემთხვევამიდ იგი საქმეს, თავისი მავნე ჰაზრითურთ, წარადგენდა უმაღლეს მმართველობასთან.

(\*) შარკული და დასწავისა მეორე სტატიაში ისევე «დროებისა» № № 10 და 16.

ლობასთან. უკეთუ აიხედავთ ზემოთ, დავინახებთ, რომ თვით უმართებულესი სენატი შეერთებდა თავის შორის უფლებასა როგორც სამსაჯულოსა, ეგრეთვე სამმართველობას. აღმინისტრაციული უფლებანი თურთიკულად ემორჩილებოდენ სენატსა ამას გარდა, უფლების შერეულობას არ ჰქონდა დატოვებული თვით უმაღლესი სახელმწიფოშიდ კანონ-მდებლობითი დაწესებულება — სახელმწიფო რჩევა. როდესაც სენატის დებარტამენტთა საზოგადო კრებაში მოხდებოდა უთანხმოება წევრთა შორის, რომელიმე საქმის თაობაზედ, მაშინ ის საქმე გარდაიცმებოდა სახელმწიფო რჩევაშიდ, მის დაბოლოებით გარდასაწყვეტად. ერთი სიტყვით, უფლებათა შერეულობა ძველ წესის დროს იყო სრული, რომლის ერთი უხლოესი ნაყოფი მდგომარეობდა იმაშიდ, რომ ყოველი აღმინისტრაციული უფლებანი, მასხრის პრისტიციადან დაწყებული ვიდრე გუბერნატორამდინ და თვით მინისტრამდინ, შეერთებდენ თავის შორის სხვა და სხვა გვარ მოვალეობათა, ერთადენ, თვით კანონის ძალით, სამსაჯულოთა საქმეების წარმოებაში, რომლის გამოცა, რასაკვირველია, სუსტდებოდა ქვემარტივი მნიშვნელობა და თვით აღსრულება მართლმსაჯულებად.

მეორე ნაყოფი ამ ორი უფლების განსაზღვრელობისა მდგომარეობდა იმაშიდ, რომ მაშინდელი მოსამართლენი იყენენ დამოკიდებულ მდგომარეობაშიდ აღმინისტრაციული უფლებასაგან. გუბერნატორს, ვითარცა გუბერნიის თავს, ჰქონდა ზეამოქმედება მსაჯულებითის უფლების წარმომადგენლებზე, რადგანაც განწესება და გარდაყენება მათი ერთის მხრით იყო დამოკიდებული გუბერნატორზე. ამას გარდა, ძველის სამსაჯულოს წევრნი იყენენ თითქმის სრულ დამოკიდებულებას თავიანთ თავ-მჯდომარეთაგან, რადგანაც ამა უკანასკნელთა შეგდომით თავიანთ წარდგინებით უმაღლეს მმართველობისადმი მათი როგორც დაჯილდოება და დაწინაურება თანამდებობაშიდ, ეგრეთვე გარდაყენება თანამდებობიდან. უწყველია, რომ ამგვარი დამოკიდებულებითი მდგომარეობა უწინდელთა მოსამართლეთა უკარგავად მათ იმ თავის უფლებას იმ თვით-მსაჯულობით გაჭირახობას საქმის გარდაწყვეტაში, რომელნიც შეადგენენ მიუცილებელ საქიროებას ქვემარტივის მართლ მსაჯულების აღსრულებისათვის. ამ გარეუობას შეუღებოდა ის ჰაზრი, რომ საზოგადოებაშიდ სუსტდებოდა რწმუნება მაშინდელ მოსამართლისადმი და მასამადამე მათ მიერ გაჩენილ სამართლისადმიც.

ახალმა რეფორმამ მოუღო ბოლო სამსაჯულო, აღმინისტრაციულ და კანონმდებლობითის უფლების ამგვარ განსაზღვრელობასა, რადგანაც როგორც წარმოება ყოველ-გვარ სადაო და სისხლის-სამართლის საქმისა, ეგრეთვე თვით მოსამართლენიც განთავისუფლდენ აღმინისტრაციული უფლებისაგან და მის შემავიწროებელ ზედმოქმედებისაგან ახალ წესდებულების ძალით, 20 ნოემბრისა 1864 წ., არცა პოლიციას, არცა გუბერნიის სამმართველოს და არცა სამინისტროებთა არა ძალუძსთ მიიღონ თავიანთ საწარმოებელად რომელიმე, თუ გინდ მცირედც იყოს, სადაო საქმე. ყოველი საჩივარი, რომელიც თხოულობს სამართალსა, ესე იგი ვისმესაგან დარღვეულ სიმართლის აღდგინებასა, უნდა იქმნეს განცხადებულები და წარმოებულები მხოლოდ მსაჯულებითის უფლებისაგან, ე. ი. ანუ მომრიგებელ მოსამართლესთან ანუ ოლქის სასამართლოშიდ. საწარმოებლად ყოველ-გვარ სისხლის-სამართლის გამოძიებათა განწესდენ ესრედ წოდებულნი მსაჯულთ-გამომეძიებლნი (Cydernye sindoameu). მოსაყვანელად აღსრულებამიდ განხინებათა განწესდენ სპეციალური პირნი, ესრედ წოდებულნი მსაჯულთ პრისციავები ან ბოქაულნი (Cydernye priusaa). — ეს ერთი მხარე ახალის რეფორმისა. მეორე მხარე მისი მდგომარეობის იმაშიდ, რომ აღმინისტრაციულმა უფლებამ დაჰკარგა ყოველი თვისი უწინდელი გავლენა და ზედმოქმედება მოსამართლესზედ. ახალთა მსაჯულთა მიიღეს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება თავიანთ მოქმედებაში, რადგანაც, როგორც მომრიგე მოსამართლენი ეგრეთვე ყოველნი წევრნი სამსაჯულოისა, მათი თავმჯდომარენი თავიანთ ამხანაგებითურთ, განწესდებიან უმაღლესის უფლებისა მიერ და იქმნებიან გარდაყენებულნი თავიანთ თანამდებობათაგან არა სხებრ თუ არ მაშინ, როცა ისინი რომელიმე მძიმე დანაშაულობისათვის შეიქმნებიან განსამართლებულნი და შემდგომ ცნობილნი დამნაშავენი. ესე იგი ოდეს დამტკიცება მათი დანაშაულობა განხინებითა ჯეროვანის სამსაჯულო უფლებისაგან. ეს კანონი, ჩვენის

ფიქრით, დიდს იმედს და მხნეობას, დიდს მხნეობით ძალას და ენერგიას, აღიქვს პარტი-ოლასს მსაჯულოსა, რათა მან იქმნოს სრული თავისუფლება და მიუღვამლობა თავის სამსაჯულო მოქმედებაში. ესე იგი საქმის სამართლიანად გარდაწყვეტაში.

ამ სიტყვებთან, შეიძლება, რომელიმე მკითხველთაგანმა დამკითხოს: თუ ჩვენშია ცხრედ მდგომარეობაშიდ იმყოფების ახალი წესი სამართლისა? უპასუხებ: შესახებ საქმის წარმოებისა ახალი პრინციპი ესე სისრულით განარსდა ჩვენშია ცხრე როგორც რუსეთში, ესე იგი აღმინისტრაციას აღარ აქვს არავითარი გავლენა სამსაჯულო საქმეების სელასა და წარმოებაზედ. ხოლო რაიცა შეეხება მოსამართლეთის განწესებას და გარდაყენებას, ამ საგნის თაობაზედ ჩვენში არსებობს მცირე-ოდენი განსხვავება, რომელიც მდგომარეობს შემდგომში: ნამეტნისა კავკასიისას აქვს უფლება, კანონისაგან მინიჭებულთ, რათა მომრიგე მოსამართლენი მათი თანამეწყვებითურთ, და ამხანაგნი პროკურორთა ოლქის სასამართლოსა დამტკიცოს თავიანთ თანამდებობაშიდ თავის საკუთარი უფლებით. ხოლო სხვანი დანაშთენნი პირნი, ვითარ: თავ-მჯდომელნი თავიანთი ამხანაგებითურთ, წევრნი როგორც სამსაჯულო პალატისა, ეგრეთვე ოლქის სასამართლოებთა და მათი პროკურორნი დამტკიცდებიან თავიანთ თანამდებობაზედ წარდგენისამებრ კავკასიის ნამეტნისისა უმაღლესის უფლებისაგან. ამასთანავე ნამეტნის კავკასიისას აქვს სიმართლე, რომ ყოველნი ზემოხსენებულნი მოსამართლენი სამსაჯულო უწყებისანი, გარემოებათამებრ საქიროებისა, გარდაყენოს თავიანთ თანამდებობისაგან თვისი საკუთარი უფლებითა, მხოლოდ ამ შემთხვევებშიდ იგი ვალდებულია თვისი ისრეთი განკარგულებისა მიზეზი მიაწვეინოს უწყებისადმედ უმაღლესის უფლებისა, ესე იგი ხელმწიფე იმპერატორსა.

კანონი, რომელიც აძლევს ამგვარ უფლებას კავკასიის ნამეტნისისა, უმთავრესად წარმოსდგება იმისაგან, რომ, ჩვენი მმართველობის აზრით, კავკასიის მხარე იმყოფება განსხვავებულ, როგორც გეოგრაფიულ ეგრეთვე ეტნოგრაფიულ, პირობებში შედარებით სხვა შინაგან რუსეთის გუბერნიებთან. კავკასიის მხარე ამისგანა, კანონმდებლის აზრით, თხოულობს თავის სამმართველოდ განსხვავებულ კანონებსა. ამისთვის, ამგვარ მოსაზრების ძალისაგანა, სამსაჯულო რეფორმაც, როგორც სხვა რიგნი რეფორმანი და ახალ დაწესებულებანი, რამოდენიმე განსხვავებულის ხასიათით არიან შემოღებულნი ჩვენში.

თფილისი.

**პეტრე ჩარკეოვი.**

**ნარკეი**

ამ წლიდამ დაწყებული ქალაქნიკაში (იჭასა დიაში) გამოდის ერთი გაზეთი, რომელსაც სახელად დასტოქიქო ჰქვია. ამბობენ რომ ეს გაზეთი თავის მიმართულებათა, წარის კალოათი და ხასიათით რომდორის «ფანატრს» ჰგავსო.

ერთი ახირებული შეთქმულება (заговор) აღმოჩენილათ ესპანიაში. რამდენიმე ახლანდელი ესპანის კოლონის, ანდრეს, მტერს განუზრახეს იმცხ მოპარვა და ამისათვის ესპანის ტახტის განთავისუფლება. მუქარები პლანები დაუწყვეთ: ერთს დღეს, დანიშნულ საათზე, როდესაც კოლონის ამედეი თაქტრში უნდა ყოფილიყო, ამ ცაგებს უეცრათ ლაშქები უნდა დაეჭრათ. თაქტრში, რასაკვირველია, არეულობა შეიქმნობდა; ამ დროს ისინი შეკრდებოდნენ საკაროლო ლაქაში, ხაჯაუბდნენ ხელს ამედეის. გამოიყვანდნენ კარეთ, ჩასკამდნენ წინათვე დამსაჯებელ კარეტაში და გააქსადნენ იტალიისაკენ. მთავრობამ შეიტყო ეს განსახსნავა და ჰუკრი ამ საქმეში გარეული პირები დაატყვევეს.

**განცხადება**

პირველი მისილამ რუსულ აბანოში გაიხსნა ცივი საბანებელი. აბანო იმყოფება ჩულოეთში. ფასი: აუზში დაბანა ღირს: 15 კაპ. დღეში. 5 კაპ. ხარსალი 5 კაპ. პირსახოცი 3 კაპ.